

საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1998 წელი, №11-12) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება;“

2. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-22 მუხლი მე-3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

4. 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში – მთავრობა) არის კოლექტიური ორგანო, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერის გადაწყვეტილებების აღსრულებას, დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის შემუშავებასა და შესრულებას.“

5. 30-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელი (შემდგომში – გამგებელი) უძღვება გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფს რაიონის მართვას; კოორდინაციას უწევს საკრებულოს, მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.“

ბ) მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო სამსახურს წარუდგენს საბიუჯეტო განაცხადს.“

6. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სისტემა

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სისტემა და საბიუჯეტო ურთიერთობები განისაზღვრება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.“

7. 45-ე, 46-ე, 47-ე და 47¹ მუხლები ამოღებულ იქნეს.

8. 47² მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ქალაქ თბილისის მერიას საკრებულოს თანხმობით უფლება აქვს აიღოს ან/და გასცეს სესხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

9. 47³ მუხლი ამოღებულ იქნეს:

10. 47⁵ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა შეუძლია საკრებულოს მხოლოდ მერის წარდგინებით.“

11. 48¹ მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი